ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურში 9 აპრილის ქ. N25-ში მდებარე 950.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.009) და მასზე მდებარე N2 და N4 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა: ვინაიდან დასაზუსტებელია სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის სარეგისტრაციო პროცედურები (საკადასტრო ობიექტებად დაყოფა) საკითხი მოიხსნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან.

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დასკვნა მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა ცნობად იქნას მიღებული მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.